

ივლისი, 2026 კლიმატური დახასიათება

ივლისის თვეში ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა ჩრდილო-დასავლეთიდან გავრცელებული შედარებით გრილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სითბოს პერიოდული ადვექციის ფონზე იწვევდა ატმოსფეროს არამდგრადობას და შედეგად, განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ადგილი ჰქონდა ინტენსიურ ნალექებს, ხშირ შემთხვევაში ელჭექის, სეტყვის და შკვალური ქარების თანხლებით.

ივლისში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მრავალწლიური (1991-2020 წ.წ.) ნორმის ფარგლებში აღინიშნა (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ $\pm 1.5^{\circ}\text{C}$ შეადგინა, დადებითი გადახრებით ჯავახეთის ზეგნის ცენტრალურ ნაწილში და შიდა ადა ქვემო ქართლში. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე ტემპერატურის დაახლოებით იმავე რიგის უარყოფითი გადახრები დაიკვირვებოდა, ყველაზე გრილი პირობებით ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ივლისის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ზღვისპირა და დაბლობ რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე $+23$, $+26^{\circ}\text{C}$, მთიან ნაწილში $+20$, $+23^{\circ}\text{C}$, ხოლო მაღალ მთაში $+15$, $+19^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის უმეტეს რაიონებში, ძირითადად, თვის მესამე დეკადაში (25-26 ივლისი), ხოლო ქვეყნის ცალკეულ ცენტრალურ რაიონებში - თვის პირველ დეკადაში (10 ივლისი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ივლისის თვეში ადგილი არ ქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს $+33$, $+38^{\circ}\text{C}$ -ს დასავლეთში - კოლხეთის დაბლობზე და აღმოსავლეთში - ქართლის და კახეთის ვაკე ტერიტორიაზე მიაღწია.

მიმდინარე წლის ივლისის თვე, ისტორიულ მაჩვენებლებთან შედარებით, გამორჩეული იყო ცხელი დღეების სიმცირით, ხოლო ძალიან ცხელი დღეები (დღის ტემპერატურა $\geq 35^{\circ}\text{C}$) მხოლოდ ზოგიერთ რაიონში ერთეულ შემთხვევებში აღინიშნა. ქვეყნის მასშტაბით, საკმაოდ დაბალი იყო, ასევე, ე.წ. ტროპიკული ღამეების (ღამის ტემპერატურა $> 20^{\circ}\text{C}$) განმეორებადობა, თუმცა ცალკეულ რაიონებში აღინიშნა ასეთი ღამეების მომატებული რაოდენობაც. მათ შორის გამოირჩეოდა ფოთი (27 დღე) და თბილისი (26 დღე), სადაც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე, ივლისის თვეში ასეთი დღეები მეტი რაოდენობით ფოთში მხოლოდ ორჯერ - 2020 (30 დღე) და 2024 (30 დღე) წლებში და თბილისში ერთხელ - 2018 (28 დღე) წელს დაფიქსირდა.

ივლისში ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე ყველაზე დაბალი ტემპერატურები, ძირითადად, თვის პირველ რიცხვებში (1-2 ივლისი), ხოლო ცალკეულ რაიონებში - თვის პირველ დეკადაში (7-9 ივლისი) ან ბოლო რიცხვებში (27-30 ივლისი) დაფიქსირდა, როდესაც აბს. მინიმუმები ქვეყნის მთიან ზონაში $+10$, $+8^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო სამხრეთ და აღმოსავლეთ მთიან და მაღალმთიან რაიონებში ზოგან $+7$, $+5^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ადგილი ჰქონდა ბორჯომში, სადაც ივლისის თვისთვის უკანასკნელი 70-წლიანი პერიოდის ყველაზე დაბალი ტემპერატურა ($+6.4^{\circ}\text{C}$) დაფიქსირდა.

ივლისის თვე ქვეყნის ტერიტორიაზე საშუალოდ ნორმის მახლობელი ნალექიანობით ხასიათდებოდა, ნორმაზე ზოგან საკმაოდ მაღალი ნალექებით აღმოსავლეთ საქართველოში და ნალექების გარკვეული სიმცირით ქვეყნის დასავლეთ ნაწილში (ნახ.2).

ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა ზემო იმერეთში, კახეთში და ასევე, თბილისში, სადაც ქვეყნის ფარგლებში ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (120-170 მმ) მოვიდა, რაც ამ ტერიტორიებისთვის საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობებს დაახლოებით 2-3-ჯერ და მეტად აღემატებოდა. ასევე, ნორმასთან მიმართებაში 40-70%-ით მეტი ნალექი (60-100 მმ) დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ რაიონში. ნალექების გარკვეულ დეფიციტს ადგილი ჰქონდა აჭარის და სამეგრელოს ზღვისპირა და დაბლობ ტერიტორიაზე და რაჭა-ლეჩხუმის ცალკეულ მთიან რაიონებში, სადაც თვის მანძილზე შედარებით მშრალი პირობები (მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობის 50-60%-მდე) დაიკვირვებოდა.


როგორც ჩანს, მიმდინარე წლის ივლისში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა განპირობებული იყო როგორც ნალექიან დღეთა სიხშირით, მათ შორის გადაბმულად ნალექიანი პერიოდებით, ასევე, უზვნალექიანი ეპიზოდების განმეორებადობით.

4 ივლისს სეტყვა და შვეალური ქარი აღინიშნა კახეთში (გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები). ქარბორბალა იყო სოფ. გამარჯვებაში, სადაც ძლიერმა ქარმა წააქცია და ზოგან ძირიანად მოთხარა ხეები. დაზიანდა ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელი სახლების სახურავები, ასევე, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები.


6-7 ივლისს ქვეყნის შიდა ქართლის (კასპის მუნიციპალიტეტი), კახეთის (დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტები) ცალკეულ რაიონებში, ასევე დედაქალაქში აღინიშნა სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის ძლიერი ინტენსივობის ნალექი, ზოგან ძლიერ ქართან ერთად (თბილისი). შედეგად, დედაქალაქში დაიტბორა ქუჩები, ასევე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შენობის ნაწილი, დროებით შეიზღუდა ელექტროენერგიის მიწოდება. ნალექების უდიდესი რაოდენობა (96 მმ/24 სთ) მოვიდა დედოფლისწყაროში, რაც ამ ტერიტორიისთვის თვის ნორმას თითქმის 90%-ით აჭარბებს და განეკუთვნება 50-წლიანი განმეორებადობის ნალექს. ადგილობრივი მასმედიის ცნობით, დაიტბორა ტერიტორიები, საცხოვრებელი ეზოები, დაზიანდა გზები და გადაადგილების პრობლემები შეიქმნა.

12 ივლისს ქ. თელავში აღინიშნა სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის ძლიერი ინტენსივობის ნალექი. მოსული ნალექების რაოდენობამ 57.3 მმ შეადგინა, რაც თელავისთვის თვის ნორმის 85%-ს შეადგენს. უხვი ნალექის შედეგად მდინარე თელავის ხევმა კალაპოტი გაარღვია და ღვარცოფულმა ნაკადმა ქალაქის რამდენიმე ქუჩა დატბორა. მყარი ნატანისა და წყლის კრიტიკული მასის ერთობლიობამ მძლავრი ღვარცოფული ნაკადი ჩამოაყალიბა. ქალაქის ტერიტორიაზე, მდინარის კალაპოტმა ვერ უზრუნველყო ღვარცოფული ნაკადის სრული გატარება და გადავიდა მიმდებარე ტერიტორიაზე. ღვარცოფული მასის ძირითადი აკუმულირება თელავის ქვედა ნაწილში, ცალკეული ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდებარედ დაფიქსირდა. დაიტბორა ყველა სახელმწიფო და კომერციული ობიექტი. შეიზღუდა ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და სასმელი წყალი. თელავის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში (წინანდალი, კისისხევი, კურდღელაური) ადიდდა ხეები, დაიტბორა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ვენახები.

20 ივლისის ღამის საათებიდან და 21 ივლისის გამთენიამდე, ქ. თბილისის უმეტეს ტერიტორიაზე აღინიშნა სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის ძლიერი ინტენსივობის ნალექი, რის შედეგადაც ქალაქის ცალკეულ უბნებში ადგილი ჰქონდა ქუჩების დატბორვას და ურბანული ინფრასტრუქტურის დროებით გადატვირთვას. დედაქალაქის ფარგლებში თვის ნორმაზე 1.5-ჯერ, ხოლო ცალკეულ უბნებში 2.5-ჯერ მეტი ნალექის რაოდენობა აღინიშნა. ნალექების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე აღინიშნა, სადაც დაახლოებით 8 საათის განმავლობაში 110 მმ ნალექი დაფიქსირდა. ამასთან, 1 საათში (20.07.23:00-21.07.00:00) მოვიდა ამ რაოდენობის ნახევარზე მეტი (54.5 მმ). ისტორიულ მონაცემებთან შედარებით, ვაშლიჯვრის სადგურზე 24-საათში მოსული ნალექის რაოდენობა (75 მმ) კლიმატურ ნორმას 80%-ით აღემატებოდა და ივლისის თვისთვის განეკუთვნება 100-წლიანი განმეორებადობის ნალექს.



ნახ.1. ივლისის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების ივლისის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში